# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

**№ 2** **1883—1893** 30 იანვარს.

7 125

ფუტკრების დედო [illegible] თავადი ილია გ. ჭავჭავაძე, გაზეთ «ივერიის» რედაქტორ-გამომცემელი.

აგერ ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მეფუტკრეობას მივყავით ხელი და, შეძლებისადაგვარად, ვიკვლევთ ფუტკრების ცხოვრებას, მათ მუშაობას და იმ სარგებლობას, რომელსაც ფუტკრები კაცს აძლევენ. კარგად რომ დააკვირდებით ფუტკრების ცხოვრებას, მათ წეს-წყობილებას, მათ ერთიმეორესთან დამოკიდებულებას, მათ გასაოცარ და ერთგულ მუშაობას, ალტაცებაში მოდიხართ, თქვენს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს და უნებლიეთ ამბობთ: ნეტავი როდის მიაღწევს ხალხის განათლება იმ წერტილამდე, რომ კაცობრიობამაც მიბაძოს ფუტკრებს და მათი წეს-წყობილებისამებრ აწარმოვოს თავისი მოღვაწეობა და ცხოვრება. ჭეშმარიტად იტყვის სოლომონ ბრძენი: «წადი და ნახე, ზარმაცო, ფუტკარი და შეიტყე, თუ როგორი შრომის მოყვარეა ის, ამისათვის არის იგი ყველასაგან შეყვარებული და სანაქებო, თუმცა იგი ღონით სუსტია“.

ფუტკრების თავი და ბოლო მათი დედოა. უიმისოდ ფუტკრებს ცხოვრება არ შეუძლიათ. უდედოდ ფუტკრები იშლებიან, იქსასებიან და ცოტა ხნის შემდეგ სრულიად იმსებიან, მათ სკაში გამხმარი უთაფლო სარაჭების მეტს კაცი ვერ ნახავს.

ფრიად საყურადღებო და სასიამოვნო არის მუშა ფუტკრების ცხოვრების, მოქმედების და თვისებათა გამოკვლევა, მაგრამ არა იმდენად, რამდენათაც დედო ფუტკრისა. დედოს ცხოვრება, მუშაობა და თვისება მომეტებულად გასაოცარია. დედოსაგან იბადება მუშა

ფუტკარი, იმისაგან იბადება მორიოდი და იმისგანვე იბადება ახალი დედოც. თაფლის მომზადებასა და სარაჯის კეთებაში დედო არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მისი საქმეა მხოლოდ სკაში იყოს, სარაჯზე ისხდეს და მუშა ფუტკრებისაგან მომზადებულ სარაჯებში კვერცხები ჩასდოს ხოლმე. მუშა ფუტკრები ერთ გაწამაწიაში არიან: ისინი კრებენ სანთლის ცვილს სხვა-და-სხვა ყვავილებისაგან, აშენებენ სარაჯს და თესლის ჩასადებ სარაჯის ყუთებს. დედო კი ამ სარაჯებში სდებს კვერცხებს: მუშა ფუტკრების სათესლეში—მუშა ფუტკრის კვერცხს ჩასდებს, მორიოდი—მამალი ფუტკრის სათესლეში—მორიოდი ფუტკრის თესლს და სადედოე ფუტკრის სათესლეში—დედო ფუტკრისას. ეს შეადგენს დედოს მუშაობას. ამის გარდა დედო არაფერს არ აკეთებს. როცა კვერცხებს ჩასდებს სარაჯებში, შემდეგ ერთ ადგილს ზის თავისთვის. არ იფიქროთ, რომ დედომ რამე შრომა გასწიოს მისგან დადებული კვერცხების და ამ კვერცხებისაგან ახლად გამოჩეკილ არსებათა სასმელ-საჭმელზე. სრულებითაც არა. კვერცხების მოვლა და მათგან გამოჩეკილ არსებათა საზრდოება მხოლოდ მორიოდი და მუშა ფუტკრების საქმეა. დედო არა თუ მათ საზრდოზე არ ზრუნავს, წინ რომ საჭმელი ჰქონდეს, თვითონ არ აიღებს, სანამ მუშა ფუტკარი თავისი ხორთუმით არ მიაწოდებს მას საჭმელს. მაგრამ ყველამ კარგად იცის დედოს დანიშნულება, ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ უდედოოთ მათი ცხოვრება შეუძლებელია, უიმისოდ ფუტკრებს არც სხვისთვის და არც თავისათვის თაფლის შეკრება არ შეუძლიათ. აუარებელი მტრები, რომელნიც ნიადაგ ჟლეტენ ფუტკრებს მუშაობის დროს, ცოტას ხანში მთლად დაამსებდა მათ ოჯახობას, მაგრამ რამდენიც იხოცება, სამი იმდენი ახლად იბადება. ამ ახალი თაობის მშობელია დედო და ამიტომაც ყველა ფუტკრებისაგან იგი შეყვარებული და პატივცემულია. ყველა ფუტკარი მზად არის დედოსთვის თავი დასდვას. ფუტკრები ჩვენსავით უგნურები როდი არიან ამ შემთხვევაში. ფუტკარი არასოდეს არ იტყვის ჩვენსავით: «მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილაო, და ჩემს შემდეგ ყველა წყალს წაუღიაო». არა, ისინი ყოველთვის იმაზედ ზრუნავენ, რომ მათი ოჯახობა არ მოიშალოს, მათი ოჯახობა არ შეირყეს და არ დაიმსოს. სიკვდილის მაგდენად არ ეშინია ფუტკარს. ვინც უნდა იყოს და რაც უნდა იყოს, თუ შეიტყო, რომ მათი ოჯახობის მტერია და მავნებელი, დაეტაკება და თავის პაწაწინა ისარს სტყორცნის. კარგად იცის, რომ იმ ისრის ხმარება და მისი სიკვდილი აუცილებელია, მაგრამ მტერს მაინც არ მოერიდება, ოღონდ თავისი ოჯახობა დაიფაროს მტრისაგან.

ვსთქვათ ფუტკრების ოჯახობა კარგად მოეწყო, ყველაფერი ბლომად აქვსთ და კიდეც ისე გამრავლდენ, რომ ძველ სკაში შევიწროებულად არიან და ხედვენ, რომ ყველას ერთად ცხოვრება არ შეუძლიათ, მაშინ მოამზადებენ ახალი დედოს კვერცხის ჩასადებათ ადგილს. დედო იმ წამავე ჩასდებს დედოს თესლს. მუშა ფუტკრები ეხლა ამას მიესევიან და უვლიან. როდესაც გაივლის რამდენიმე ხანი იმ სარაჯს, რომელშიაც ახალი დედოს თესლი სდევს, თავს გადუბეჭდავენ. თავის გადაბეჭდვა დედოსი სულ სხვანაირად იციან ფუტკრებმა და მხოლოდ ამით შეიტყობს დედო, რომ იქ სწორედ მეორე დედო უნდა გამოტყდეს. ამის შემდეგ ძველ დედოს განსვენება აღარ აქვს. შფოთავს, ბორგავს, ხშირად მიდის და ხედავს, ახალი დედო ხომ არ ამოდისო, მაგრამ ამ ადგილს ახლად გამოჩეკილი მუშა ფუტკრები მიესევიან ბლომათ და ძველ დედოს აღარ აჩვენებენ. ძველი დედო გრძნობს, რომ ახალი თაობა გამრავლდა და ეს ახალი თაობა უთუოდ ახალ დედოს მიეკედლება და ოჯახობა გამეყოფაო. უარესად შფოთავს, კვერცხის დებასაც დროებითად თავს ანებებს. ყოველივეს ღონით ემზადება, რომ ეს ახალი დედო მოკლას და ოჯახობა არ გაიყოს. ამისთვის მას საშიშარი შხამიანი ისარიც მზად აქვს. ამ იარაღს ხმარობს იგი მარტო ახალი დედოს მოსაკლავად. თუ მიუშვეს, კიდეც მოკლავს. რა გაჭირვებაც უნდა მიადგეს დედოს სხვისგან, ის ამ იარაღს არ იხმარს, მაგრამ მეორე ახალი დედოს მოსაკლავად კი ნიადაგ მზად აქვს. ის ამ ისრით არ ზოგავს არა თუ სხვა დედოს, არამედ თავის ნაშობს, მის ოჯახობაში მისგანვე გაჩენილსაც. მომზადდა ნიადაგი, მომზადდა ახალი თაობა, გამოტყდა ახალი დედო, დაიბადა ახალი მეთაური. ძველი დედოს მრისხანებას საზღვარი არა აქვს, იგი ცდილობს, როგორმე მივარდეს და სული ამოაძროს იმ ახალ დედოს. ის არასფრისთვის არ დაზოგავს მას, მაგრამ ახალი ფუტკრები, ახალი თაობა არას გზით არ უშვებს მას ახალს დედოსთან, რადგან კარგად იციან, რომ იმ ორში ერთი და ერთი უთუოდ მოკვდება და

მოკვდება, რასაკვირველია, ახალი დედო, რადგან ძველ დედოს მოხცრხება, ღონე და შეძლება მეტი აქვს, ვინემ ახლად გამოტეხილს, თუმცა თესლით და ოჯახობისათვის ახალი დედო უფრო სასარგებლოა ძველზედ. თუმცა ყველა ფუტკარი დიდი პატივისმცემელია დედოსი, თუმცა ყველა მზად არის ემორჩილოს მას და ემსახუროს, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულებით არ ემორჩილებიან ძველ დედოს და საქმე იქნამდის მიდის, რომ ძველი დედო უნდა გაშორდეს თავისი ძველი შვილებით თავის ოჯახობას და თავის სადგომს და სხვა ადგილას იცხოვროს. ასეც ხდება ხოლმე არა თუ ერთჯერ, არამედ რამდენჯერმე.

რამდენად ახირებული და კაცისათვის გაუგებარია ძველი დედოს სიძულვილი ახალი დედოსადმი, იმდენად გონივრული და ჭკუის სასწავლებელია მუშა ფუტკართა მოქმედება და საქციელი. ისინი კარგად გრძნობენ, რომ მარტო ერთად ერთი მათი ოჯახობა არ კმარა ქვეყნისათვის. კარგად იციან, რომ დედო რამდენი სიბერეში შედის, იმდენად ურგებია ფუტკრების ოჯახობისათვის. იმათ კარგად იციან, რომ მათი ცხოვრება და კეთილ-დღეობა მარტო ერთ ოჯახობაზედ, ერთ დედოზედ არ უნდა იყოს დამოკიდებული. ამისათვის იგინი ნიადაგ ცდილობენ ფუტკრების ოჯახობა გამრავლდეს და დედოებიც თავიანთი ყავდესთ. რამდენიც უნდა ეცადოს ძველი დედო ახალი დედოს მოკვლას, მუშა ფუტკრები მას არ მიუშვებენ ახალ დედოსთან. ბოლოს საქმე იმ ზომამდე მიდის, რომ ძველი დედო თავისი ძველი მომხრეებით ცალკე გადის და ახალი თაობა ახალი დედოთი იმათ ადგილს იჭერს და განაგრძობენ თავის ერთგულ მუშაობას თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

ხშირად ასეც მოხდება ხოლმე. რამდენიც უნდა ფარონ მუშა ფუტკრებმა ახალი დედო, ძველი დედო მივარდება თავის ნაშობს შვილს, თუმცა მისი გაზრდისათვის მას სრულებით არავითარი ზრუნვა არ გაუწევია და სიცოცხლეს უსპობს. ამის შემდეგ ძველი და ახალი ფუტკრები ირევიან ერთმანეთში და ზარმაცობაც მათში მალე იჩენს ხოლმე თავს. რაც უფრო ხანში შედის დედო, იმდენად იგი უძლურდება, სარაჭები ძველდება, დედო კვერცხებს ველარ სდებს წინანდულად, ნამეტანი ჭამით სუქდება და ეს მისი სიმსუქნე საზარალოა მთელი ოჯახობისთვის. ნაცვლად მუშა ფუტკრებისა იგი ყრის მორიოდი მამალი ფუტკრების თესლს, რომელნიც ფუტკრების ოჯახობისათვის წარმოადგენს მხოლოდ მუქთამჭამლების ბრბოს. ხშირი შემთხვევაა, რომ დედოს ან ერთი ფეხი, ან მეორე უფუჭდება, ან ფრთა უხდება და უვარგისი საზარალო ხდება ფუტკრების ოჯახობისთვის. ამისთანა შემთხვევაში ფუტკრები, თუ დედო ფუტკრის თესლი არის სადმე სკაში, ახალ დედოს იქიდამ გამოტეხენ და შენს ძველ დედოს გარეთ ატუცვინებენ თავს. ერთი სიტყვით ფუტკრების ოჯახობაში ნამეტნავათ დაცულია უნცროს-უფროსობა, მორჩილობა და პატივის-ცემა, მაგრამ საზოგადო სარგებლობაზედ რომ საქმე მივა, იქ აღარ არის შებრალება და შეწყალება, იქ ყველა მზად არის თავისთავი მსხვერპლად შესწიროს, ოღონდ მათ კეთილდღეობას და მათ ცხოვრებას არა ევნოს რა.

მოხდება ხშირად ასეც. რაიმე შემთხვევით ფუტკრების ოჯახობა სუსტდება, მათ მუშაობას ნაყოფი არ მოაქვს, დედო მორიოდ უსარგებლო ფუტკრებს ამრავლებს. ამ უსარგებლო მორიოდი ფუტკრების შეტყობა ძლიერ ადვილია. ისინი ხმა მაღლად ბზუიან, მაგრამ მათი ბზუილისაგან არავითარი სარგებლობა არ გამოდის. ისინიც გამოდიან სკიდგან მუშა ფუტკრებივით, სხდებიან ხოლმე ყვავილებზე აქა-იქ, მაგრამ ტყუვილია, არც ფეხებით და არც თავის პატარა ჩინჩახვით მათ სკაში არა მიაქვსთ რა. თავის ბზუილით ხშირად მხოლოდ ხელს უშლიან მუშა ფუტკართა, რაისა გამო ყველა ერთგული მუშა ფუტკრები უბედურ დღეს მიაყენებენ მათ. ივნისის თვის დამლევსა, როდესაც თაფლის შოვნა გაძნელდება, ხოლმე ამ მუქთამჭამლების ბრბოს, უსარგებლო ბზუილა ფუტკრებს მთლად გამოყრიან გარეთ სკიდამ და ბოლოს ულებენ. თუ ვინიცობაა დედო მოუკვდათ ფუტკრებს და ახალი დედოს თესლი არა აქვსთ, მაშინ ეს უპატრონო, უთავო ფუტკრები მიატოვებენ თავის სკას და სხვა ფუტკრების ოჯახობას შეუერთდებიან. კარგი გამჭრიახი მეფუტკრეც ისე იქცევა, როდესაც ხედავს, რომ ზოგიერთი ფუტკრების ოჯახობა სუსტია და მარტო ერთს აღარ შეუძლია ცხოვრება და ოჯახობის დაცვა.

ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ თ. ილია ჭავჭავაძის და მისი სკის, მისი ორგანის „ივერიის“ მოქმედებას თვალ-ყურს ვადევნებთ და, უნდა მართალი გითხრათ, ყოველთვის იმისთანა გასაოცარ თვისებათა ვხედავთ მასში, რასაც თქვენ შენიშნავთ ფუტკრების და მათი დედოს ცხოვრებასა და მოქმედებაში. ამაზე შემდეგ ნომერში მოგახსენებთ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთები აღმოაჩინეს.

1890 წელში დეკ. კალისტოვისაგან ჩვენ მივიღეთ ვრცელი სტატია, რომელშიაც ავტორი გვწერდა, რომ მე, ბატ. თ. ჟორდანია და სხვანი გავემგზავრეთ თელავის მაზრისკენ არქეოლოგიურ ნაშთთა აღმოსაჩენად და გამოსაკვლევადო. ამავე სტატიაში მოხსენებული იყო დაწვრილებითი სია მათგან აღმოჩენილი და ფრიად შესანიშნავი ისტორიული ძველი ნაშთებისა. დეკ. კალისტოვი სათითეულოდ მოკლე აღწერას მოგვითხრობდა მათგან აღმოჩენილ ნაშთთა შესახებ. ხოლო ამ ნივთების დაწვრილებით გამოკვლევას და აღწერას იგი გვპირდებოდა შემდეგისათვის. ხსენებული სტატია დიდის თავმოწონებით იყო დაწერილი ავტორისაგან. დეკანოზი კალისტოვი გვწერდა, რომ სხვადასხვა არქეოლოგიურ ნაშთთა პოვნაზე დაგვესწრო არქიმანდრიტი მაკარიო. ჩვენ მაშინვე ეჭვის თვალით შევხედეთ ამ სტატიას, რადგან მის ავტორს ჩვენ ვიცნობდით ისე, როგორც ეხლანდელი დროის ზოგიერთ მოხერხებულ არქეოლოგებს და ოსტატ ისტორიკოსებს. გვიკვირდა, თუ რა ექსკურსია უნდა მოეხდინათ ამ პირთ ორ-სამ დღეში და ან როგორ შესძლეს მათ ამ მცირე ხანში ამოდენა ძველ ნაშთთა აღმოჩენა. ამისათვის ჩვენ მაშინვე წერილი მივსწერეთ აწ უკვე განსვენებულს არქიმანდრიტს მაკარის და ვსთხოვეთ ეცნობებია ჩვენთვის, თუ სად, როგორ და რა ნივთები აღმოაჩინეს ხსენებულ პირთა მისი თანადასწრებით? მ. არქიმანდრიტისაგან ჩვენ მივიღეთ მაშინ შემდეგი წერილი, რომლისაგან მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

„რისი ექსკურსია, რისი არქეოლოგიური გამოკვლევაო?! გეცოდინებათ, რომ უწმიდესი სინოდისაგან უქაზი მოვიდა აქედამ წარდგენილ მოხსენების შესახებ. უქაზში იწერებოდნენ: «სადაც ეკლესიების და მონასტრების კრებულთა სურვილი განაცხადონ ადგილობით ეკლესიებში და მონასტრებში დაცულ არქეოლოგიურ და ისტორიულ ძველ ნაშთთა, გარდა წმიდა ხატებისა, სიონის ტაძართან დაარსებულ მუზეუმში გადატანისა, სიისამებრ გადიტანეთ ეს ნივთები და შეინახეთ ზემოდ ხსენებულ მუზეუმშიო. დეკ. კალისტოვი და მისი ამხანაგები მოვიდნენ ჩემს მონასტერში და, თანახმად უწმიდესი სინოდის უქაზისა, ჩაიბარეს ჩემგან ჩემს მონასტერში უხსოვარის დროიდგან დაცული ძველი ნაშთები და წაიღეს თბილისში მუზეუმში დასაცველად. ვის აქვს ნება, რომ ამ ძველი ნაშთების და გუჯრების შესახებ სთქვას, რომ მე ვიპოვნე და დიდი შრომაც გავსწიე მათ ნახვაზედო. ზოგიერთი ჩვენი არქეოლოგები დადიან ეკლესიებსა და მონასტრებში, ზოგიდგან მიაქვსთ გუჯრები და ზოგს გადაიწერენ ხოლმე. შემდეგ გამოდგებიან და „ივერია“-ში გაიძახიან: ისეთი გუჯრები ვნახეთ, რომელნიც ჩვენს ისტორიას ნათელს მოფენსო და ჩვენ წინაპართა ყველა თავგადასავალს თვალწინ აგილაპლაპებსთო».

მართლაც და ასეა. «ივერიის» რედაქციამ ჩვენი ძველი გუჯრების მნიშვნელობა და ჩვენ წინაპართა თავგადასავალი იმდენად იცის, რამდენად ჩინური ენა. მისთვის სულ ერთია, როგორც გინდა დასწერე და ის მზად არის თავის გაზეთის ფურცლები დაგითმოს და ყოველივე ნამდვილად მიიღოს. ბ. თ. ჟორდანია სწერს «ივერია»-ში: «მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე და ხელით აღება ქართველთაგან იერუსალიმის ქალაქისა 1527 წ. თვით დიდებული ივერიის მონასტერიც ამ 20—25 წლის წინად ხელიდგან გამოგვტაცეს, მაგრამ ვინ არის პატრონი და ხმის ამომღები» (იხილე «ივერია» № 14, 1893 წ.). მადლობა ღმერთს, მოვესწარით ხმის ამომღებლებსაც, თუ ამოვიგებთ, სწორედ ეხლა. ბ. ჟორდანიამ ხმა ამოიღო „ივერია“-ში, იმედია ბ. ილია ჭავჭავაძეც დაგვეხმარება და ბარკალაია ხომ უკვე პეტერბურგშია წასული ჩაბარებითი „ლისტის“ მისაღებად. მხოლოდ ერთი ბოქაულია საჭირო, რომ სულთანს სისრულეში მოაყვანინოს განჩინება. მაგრამ ვერ მივმხვდარვართ, თუ ივერიის რომელ დიდებულ მონასტრის შესახებ ბრძანებს ბ. თ. ჟორდანია, რომელიც ამ 20—25 წლის წინად ჩვენს ხელში და მფლობელობაში იყო და ეხლა ჩამოგვართვეს? ვსთხოვთ ბ. ჟორდანიას დაგვისახელოს, თუ რომელი ქართველი არქიმანდრიტი განაგებდა ამ ივერიის დიდებულ მონასტერს?

## კეთილი მწყემსის გავლენა მთელს მის სამწყსოზედ.

(წერილი რედაქტორთან)

ვინ არ იცის, რომ ხალხის კეთილ-დღეობა დამყარებულია იმ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზედ, რომლის შემწეობით კაცი ხერხიანად ებრძვის ბუნებას და ამ ბრძოლაშიდ სრულიად არ ეხება თავის თანამოძმის ინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა განვითარებას ერთობ მოკლებულია ხალხი, როგორც საზოგადოთ, ეგრეთვე ნამეტურ ჩვენში. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, არის ის განცალკევება, რომელიც სუფევს უბრალო ხალხისა და ინტელიგენციის შუა. ვინც კი დაკვირვებია ჩვენი სოფლელების ცხოვრებას, ის უსათუოდ შენიშნავდა, რომ ის სოფელი, რომელსაც ბედმა შემთხვევით არგუნა ერთი ანუ ორი ცოტათი მაინც განათლებული კაცი, ბევრათ განირჩევა იმ სოფლებიდამ, რომელსაც ეს ბედი არ შეხვედრია.

როგორც მაგალითი ამისთანა გონებრივ განვითარებული კაცის გავლენისა მთელს სოფლის მცხოვრებლებზედ, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ს. წყემის (სენაკის მაზრა) მრევლის მღვდელი. 3 წელიწადია, რაც ფოთის საკათედრო ტაძრიდამ წყემის წმ. ვარვარას ეკკლესიაშიდ გარდმოყვანილია მღვ. ა. ჯ—ძე. ამ 3 წლის მოღვაწეობა ამა პატივცემულის და ღირსეულის მღვდლისა იმდენათ რთული და ნაყოფიერია თავის სამრევლოსათვის, რომ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ ამ საგანზედ.

სავსე კეთილის გრძნობით და გამსჭვალული ხალხისადმი სამსახურის სურვილით, მ. ა., რაკი დამკვიდრდა ახალ სამრევლოშიდ, იმ წამსვე შეიქნა ხალხისათვის საუკეთესო მოძმედ და, რასაკვირველია, მალე მოიხვეჭა მისი სიყვარული. როგორც მოძღვარი, ის არა სჯერდება თავისი აუცილებელ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც შეადგენს თავის დროზედ წირვა-ლოცვა და სხვა წმ. საიდუმლოების აღსრულება. ის დაუახლოვდა ხალხს და ნიადაგ მისი საუკეთესო მრჩეველია ყოველ-ნაირ გაჭირვებაშიდ. ეწვევა თუ არა რაიმე უბედურება რომელსამე ოჯახს სამრევლოშიდ, მ. ა. იმ წამსვე მიეშურება იქ და თავის გონიერი და გრძნობით სავსე სიტყვით ამხნევებს მთელს ოჯახობას და ამ სულიერ გამხნევებასთან, როდესაც საჭიროება მოითხოვს, არ აკლებს, შეძლებისა გვარად, არც ნივთიერ დახმარებას.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ თითეულად ის კეთილ-მოქმედება, რომელიც უსათუოდ მიუძღვის მ. ა—ს თავის სამრევლოსადმი, ამისათვის საჭიროთ ვრაცხთ იმის მრავალ კეთილ-მოქმედებიდამ აღვნიშნოთ მხოლოდ უმთავრესი და იმისთანა, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ხასიათი. გარდა იმისა, რომ შრომით და შემწეობით ამა ღირსეულ მღვდლისა დამშვენებულია თვით წმ. ვარვარის ეკკლესია, რომელიც აქამდისინ ერთობ ცუდს მოგომარეობაში იყო, მისივე მოთაობით და მოქმედებით ს. წყემსში გაკეთდა მრავალი გზა. სადაც აქამდისინ ავდრიანობის დროს კაცს ვერც კი შეეძლო გავლა და პირუტყვებიც ეგრე უწყალოდ იხრჩობოდენ ტბა-ტალახებში, ეხლა მ. არ—ის შემწეობით და შრომით მშვენიერი გზა-ტკეცილია გამართული და რაც უნდა ავდარი იყოს, მგზავრი თავისუფლად დადის. ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოა და მოსახსენებელი, რომ, ზოგ ჩვენს ადმინისტრატორებს ბევრათ არ აწუხებს ჩვენი სოფლების უგზობა. ეს არის მიზეზი კიდევაც, რომ მახლობელი სოფლელები შენატრიან ს. წყემის მდგომარეობას, სადაც არის, ხალხის სიტყვით, იმისთანა «თავიანი კაცი», როგორიც ბრძანდება მ. არსენი.

როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, სამეგრელოს საზოგადოება ამ ჟამად ძრიელ ააშფოთა ჩვენი უმეცარ მეცნიერების ბოროტ გამორკვევამ შესახებ მეგრულის ლიტერატურისა. საზოგადოებას ცოტა არ შეშინებია თვით სარწმუნოების შებღალვისაც. ამისთანა მდგომარეობაში, რასაკვირველია, ჩვენი სამრევლო სკოლები შეიქნენ ხალხისათვის იმ საფრად, სადაც კაცი ეგრე სისწრაფით იფარავს თავს მავნებელ ქარიშხალისაგან. როგორც წუწკი ქორის დანახვაზედ ქათმის წიწილები მიეშურებიან დედისაკენ დ̃ იმის ფრთებ ქვეშ ეძებენ შველას, ეგრეთვე ამ ჟამად ჩვენი ბავშვები რაღაც, ინსტიქტიურად, თითქოს მოსჩვენებოდეთ რაღაცა ქორის მსგავსი, მიეშურებიან სამრევლო სკოლებისაკენ.

ამისთანა მდგომარეობაშიდ, რასაკვირველია, ჩვენში სამრევლო სკოლებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ. ეს მნიშვნელობა კარგად აქვს შეგნებული მამა ა—ნს, რომელსაც დიდი შრომა და ნივთიერი დახმარება მიუძღვის წყემში სამრევლო სკოლის დაარსებისათვის. მ. არ—მა თავის ხარჯით ააშენა ამ სკოლისათვის სადგომი, რომელიც დაუჯდა 300 მანეთამდის. სკოლას აქვს მოშენებული პატარა ბაღი, სადაც შაგირდები თავის დროზედ დიდის წადილით მუშაობენ. მამა არ—ნის ზედამხედველობით დ̃ მოღვაწეობით ეს ბაღი ზაფხულში ძრიელ სასიამოვნო სანახავია. გასრულ მარიამობისთვეში ამ სკოლას ეწვია მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი დ̃ დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ სკოლის ბავშვების ბეჯითი და მარჯვე პასუხით.

ძრიელ სასურველია, რომ მ. არ—ის მაგალითი არ დარჩეს უყურადღებოდ მის მოძმეთაგან და მათაც მიბაძონ მის საქებ საქციელს.

№

## ქუთაისის საკვირაო სკოლა.

წარსულს წელში ზოგიერთმა ჩვენმა ახალგაზრდა განათლებულმა ქალებმა განიზრახეს საკვირაო სკოლის დაარსება ქ. ქუთაისში. ამ აზრს ყველანი დიდის სიამოვნებით მიეგებნენ და სიხარულითაც ელოდენ ამ ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელებას. მართლაც ეს კეთილი აზრი მალე განხორციელდა. ამ კეთილი საქმის მოთაოვეობა იკისრეს მარიამ ოტიას ასულმა ვარდასანიძემ, ვერა ილარიონის ასულმა ჯაფარიძემ და მარიამ კონსტანტინეს ასულმა იოსელიანმა, რომელთაც სწავლა დამთავრებული აქვსთ ქუთაისის დედათა სასწავლებელში.

ზემოდ აღნიშნულმა პირებმა საკვირაო სკოლის გახსნის ნებართვა გამოითხოვეს ადგილობითი მთავრობისაგან და სკოლა გახსნეს ქუთაისის სამოქალაქო სკოლის შენობაში. სკოლის გახსნისათანავე იმდენი მსურველნი აღმოჩნდნენ ამ სკოლაში შესვლისა, რომ ხსენებულ შენობაში ყველა მსურველთა მოთავსება შეუძლებელი შეიქნა. ამის გამო ამ სკოლის დამაარსებელნი მიიქცნენ ქალაქის თვითმმართველობასთან და სთხოვეს დაეთმოთ მათთვის თავის შენობაში რამდენიმე ოთახი. ქალაქის მოურავმა დიდის სიამოვნებით დაუთმო მთხოვნელთ ამ ფრიად კეთილი საქმისათვის ორი დიდი ოთახი კვირა დღეებში.

ამ სამ პატივცემულ ქალთა საქებურმა და სასარგებლო მოღვაწეობამ სხვაებშიაც აღძრა სურვილი, რომ ამ კეთილ საქმეში მათთაც მონაწილეობა მიიღონ. მართლაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში შემდეგ პირთა: ელენე ბ. ასულმა ხელთუფლიშვილმა, ოლღა ლ. ქორქაშვილმა, მარიამ ო. კაუხჩოვმა; ყველა ამ მანდილოსანთ სწავლა აქვსთ დამთავრებული ქუთაისის დედათა სასწავლებელში; ქეთევან გ. ჩიქოვანმა, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელში, ივანე გ. რატიევმა, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული პეტერბურგის უნივერსიტეტში

ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ, თომა ა. მთავრიშვილმა, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული სამოსწავლო ინსტიტუტში, ირაკლი მ. მიქაძემ, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული თბილისის სასულიერო სემინარიაში, ოლიმპიადა ლ. ქორქაშვილმა, მელანია ლ. მეძმარიაშვილმა, მარიამ ი. ბაჯიოლლიმ, ეკატერინა მ. ტურკიამ. ყველა ამ მანდილოსნებს სწავლა აქვსთ დამთავრებული ქუთაისის საქალებო სასწავლებელში.

ზემო აღნიშნულ პირთა მეცადინეობით სკოლისათვის მოპოებულია უსაჭიროესი სასწავლო ნივთები და კლასის ავეჯეულობა. სკოლა ორი განყოფილებისაგან შესდგება. პირველ განყოფილებაში სწავლობენ ვაჟები, ხოლო მეორეში ქალები. პირველი განყოფილება მოთავსებულია ქალაქის სამართველოს შენობაში, ხოლო მეორე—სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში.

სკოლა იმყოფება იმერეთის ეპარქიალური სამოსწავლო რჩევის უწყებასა და ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ზედამხედველობის ქვეშ. წარსულს 1892 წელში, დეკემბრის 22 ამ სკოლაში ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი. მათმა მეუფებამ ორივე განყოფილებაში გამოსცადა მოსწავლენი და ძლიერ კმაყოფილი დარჩა მოსწავლეთა ცოდნით.

ყოველს მნახველზე სკოლა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ერთის მხრით თქვენ ხედავთ განათლების მწყურვალთ, წერა-კითხვის უცოდინარს პირთ, რომელნიც დიდის მოწიწებით ყურს უგდებენ და ითვისებენ, რასაც მათ მასწავლებელნი ასწავლიან და უხსნიან, ხოლო მეორეს მხრით განათლებულ პირთ, რომელნიც უსასყიდლოდ დიდის ბეჯითობით ასწავლიან განათლების მწყურვალე პირთ წერა-კითხვას და აწოდებენ მათ სულიერ საზრდოს. ყოველივე ეს სასიხარულო მოვლენაა ჩვენს ეხლანდელს ნახევრობით მიძინებულს ცხოვრებაში; ეს მოვლენა აშკარად გვიმტკიცებს, რომ ჩვენმა ხალხმა შესამჩნევად გამოიღვიძა და სურს საქმეს მოჰკიდოს ხელი.

სწორედ სასიხარულოა და მასთან საქები ამ კეთილი საქმის მოთავე პირთა მოღვაწეობა. კვირა დღეს, თუ კაი ტაროსია, მთელი ქუთაისის მკვიდრი გამოდის «ბულვარში» სასეირნოდ და ნაშუადღევის ორ-სამ საათამდის ერთგულად სტკეპნის ბაღს. ამავე დროს რამოდენიმე ახალგაზრდა კაცი და ქალი თავს ანებება ბაღში სეირნს და მიდის თავის მოვალეობის ასასრულებლად, რომელიც თავის ნებით იკისრა და ცდილობს გაუნათლებელ ხალხში მოფინოს სწავლის სხივი და ბულვარში უსაქმოდ სიარულს და ლაყბობას ამჯობინებს, რომ წერა-კითხვა ასწავლოს მათ, რომელთაც ბედმა არ არგუნა სასწავლებელში შესვლა.

დიახ, სწორედ ხანაქებო მოვლენაა! სასწავლო ოთახი ვრცელია, მოსწავლენი გაყოფილნი არიან რამდენიმე წყობად: ერთ ჯგუფში სხედან ებრაელთა ბავშვები და დიდებიც, რომელნიც სწავლობენ რუსულს და ქართულს წერა კითხვას, რაც მათთვის ფრიად გამოსადეგია ვაჭრობის საქმეში; მეორე წყებაში სხედან ქართველი ყმაწვილები, უმეტესად ვაქართაგანნი, რომელნიც დიდის ბეჯითობით სწავლობენ რუსულ წერა-კითხვას და ანგარიშს; მესამე ჯგუფში პატარა და დიდ ქალებს ასწავლიან საღმრთო ისტორიას.

სკოლაში ყოველივე სასწავლო ნივთს უსასყიდლოდ ურიგებენ მოსწავლეთ მეცადინეობის დროს, ხოლო ზოგიერთს სახლებშიდაც ატანენ სახელმძღვანელო წიგნებს.

გულით და სულით ვისურვებთ ამ სკოლისათვის წარმატებას. ღმერთმა ინებოს, რომ ამ სკოლის შემწეობით გავრცელებულიყოს უსაჭიროესი პირველდაწყებითი სწავლა და წერა-კითხვა ჩვენი ქალაქის გაუნათლებელ პირთა შორის. უფალმა აკურთხოს ამ სასარგებლო და ფრიად მოსაწონი საქმის მოთავე პირთა მოღვაწეობა.

## ფ უ ფ უ ნ ე ბ ა.

(გაგრძელება *)

ძველთაც ყოფილან და დღესაც არიან ისეთი სწავლულები, რომელნიც ეკუთნიან არც თუ რიგორულ სკოლას, მოთხოვნილებათა აღვირ-ახსნას რომ ქადაგებს, არც თუ ნებივრობის სკოლას, რომელიც ფუფუნებას რაცხს პიროვნობისათვის საამურ და ქვეყნის წინსვლისათვის წამქეზებელ საგნად. ესრეთი, ჩატეხილ ხიდზე მდგარი, სწავლულები ფიქრობენ, ვითომც იყოს ფუფუნება პატიოსნური, ნებართული და საქებარი და იყოს ფუფუნება ბოროტხმარებული, უზნეური და გასაკიცხი. სრულიადაც შეუსაწყნარებელი არაა ამისთანა განსხვავება და რიგორიზმის მოძღვრება სამართლიანია. განა შეიძლება ბიწიერება იყოს უმანკო, პატიოსნური და ბიწიერება მანკიერი? ამიტომაც ფუფუნების უარყოფა და განკიცხვა, წარმოთქმული ერთპირათ და მჭევრმეტყველობით ძველის ფილოსოფოსებისგან და წმიდა მამათაგან (იხილე სხვათა შორის, ბასილ დიდის ქადაგება ამ სათაურითვე «ფუფუნება») სრულიად მტკიცდება ახალთ ახალის მეცნიერულ გამოკვლევით. იმათ, თუმცა საპოლიტიკო იკონომია არ იცოდნენ, მაგრამ განბრნობილნი იყვნენ სხვათ მოყვარობის გრძნობებით და სიმართლის ალღოთი გამსჭვალულნი, ე. ი. სახარებისაებრ, სიყვარულის და ძმობის გრძნობით. ყოველივე ის, რაც ნამდვილათ ფუფუნება კი არის, არ შეიძლება, უზნეური არ იყოს, უმართლო. აი, რას ამბობს ერთი ახალი შესანიშნავი პოლიტიკ-ეკონომი: «ის პირნი, რომელნიც დიდის განძით და ხელთ უფლების მეოხებით,ავრცელებენ ფუფუნების გამოყენებას, არიან ხალხის ბედნიერობის დამაბრკოლებელნი, მომაკვდინებელ ცოდვის ჩამდენნი“.

ფუფუნებას შეადგენსო, ჩვენ ვთქვით, ხმარება გადანამეტ შრომად ღირებულ საგნისა გამოგონებულის საჭიროების დასაურვებლათ. რაკი რომ შრომა ახე მიუცილებელია უპირველესთ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ საგნების საწარმოოთ (მიუცილებელია იმიტომ, რომ ჯერ კიდევ აურაცხელი ადამიანები ცხოვრებენ აუტანელ სიგლახაკეში) განა ამ დროს სამართლიანი იქნება კაპიტალის და მუშა ხელების მოცდენა საფუფუნო საგნების საწარმოოთ. უამათობა საუმჯობესო იქნებოდა თვითონ ჩვენთვინაც, ჩვენის პირადი ხასიათისათვის. მიუხედავად ამისა, აი, კიდევ რას ამბობს ერთი პოლიტიკ-ეკონომი: «ბრილიანტები მე ყოველთვის მეჩვენებოდა სულელურ და უსარგებლო ნივთად, თუმცა ქალებს ისინი მიაჩნიათ საუკეთესო სამკაულად. მაგრამ, რაკი რამდენიმე ათიათასი, მაღაროებში ბრილიანტის მძებნელი მუშა და მოწახნაგე ამით გვარიან ლუკმას შოობს, განაღა შეიძლება ამ საქმეს ბრიყვული და უსარგებლო ვუწოდოთ?.»

ძალიან ჭკუა მოკლეა ამისთანა შეხედულობა განვსაჯოთ. შეიძლება ნივთი ღირდეს უშველებელ ფულად და იმავ დროს, არა თუ ძალიან უსარგებლო იყოს, თან ძალიან მავნებელიცა. ჩინელები ყიდულობენ ინგლისელებისგან 500 მილიონ მანათის თრიაქს წელიწადში. ეს ხომ უსარგებლოზე ბევრათ მეტია: ეს არის გესლი კაცის სხეულისთვის და ჩინეთის იმპერატორი ბრძნულათ მოიქცეოდა, რომ ყველა ამ გამბანგველის ნაწარმოებით სავსეს ყუთებს ზღვაში გადააყრევინებდეს მოტანისათანავე. ვინც ამტკიცებს, ვითომც სიმდიდრე შრომაში მდგომარეობდეს, იგი აღიარებს სიზიფობას, ე. ი. შრომის მიზნად მხოლოდ შრომას, შრომას შრომისათვის ერთის უხეირო ანდაზისაებრ: «ცუდათ ჯდომას ცუდათ შრომა სჯობია», ვთქოთ, ავაზაკობა. მართლაც არიან მაღაროებში და სახელოსნოებში მომუშაკენი ათასობით, რომელნიც კაი ხელფასს იღებენ. მაგრამ ის ბრილიანტებიც რომ იმ ზემოთქმულ თრიაქთან ზღვის ფსკერში გადაეყარათ, უმჯობესი იქნებოდა. ბრილიანტებს, რომელთაც ეს ამდენი მუშა აწყდება, სხვა დანიშნულება არა აქვსთ რა, თუ არ აღძვრა ცუდმედიდობისა მათში, ვინც იმათი მეპატრონე და მუშტარია და შურისა მათში, ვისაც მათდამი ხელი ვერ მიუწვდებათ. რამდენით უფრო ემჯობინებოდა, რომ იმოდენა მომუშაკეთა ჯან-ღონე მოხმარებოდა წარმოებას მიწათმოქმედობისას, სასმელ-სახურავისას მათთვის, ვინც ამაებზე დანატრულნი არიან. ფუფუნების საწინაღმდეგო კანონების გამოცემა საჭირო არაა, მაგრამ სიამოვნებით საჭირეტია ის ქვეყანა, სადაც, როგორც ნორვეგიაში, ანუ შვეიცარიის მთის კანტონებში, თუმცა ბრილიანტებს არავინ ყიდულობს,

*) იხ. «მწყემსი» № 22, 1892 წ.

მაინც ყველას აქვს საშუალება გულსავსებით გაუძღვეს თავისს საჭიროებას.

აქ საკვლევარ საგნის არსებითი მუხლი, ხშირათ უყურადღებოდ გაშვებული, მდგომარეობს შემდეგში: ყოველი საფუფუნო საგანი დიდ შრომად ჯდება, და იმას აღარ დაგიდევენ, რომ ამ შრომის მოხმარება შეიძლებოდა უფრო გონივრულად. ნუ თუ მოიპოვება სადმე ისეთი კაცი, რომელმაც თავისის სიცოცხლის სანი წლიწადი მოანდომოს არარაში გამოსადეგის სათამაშოს გაკეთებას თავისთვის. ეს უგუნურობა იფარება ალებ-მიცემობის ნიღბით და იმ გარემოებით, რომ, ვინც ძვირფას ნივთებს ატარებს, იგი თვითონ როდი აკეთებს მათ. არამედ სხვებს აკეთებინებს, სხვისგან იძენს. მაგრამ, თუ განვიხილავთ კაცობრიობას, როგორც ერთ მთელ ოჯახს, ერთ პირადს კაცს, რომელიც ვალდებულია თავისი შრომით თავი ირჩინოს, მაშინ ცხადათ გამოჩნდება თუ, რა სიოეგვნეა ძვირფასის დროს შელევა ბრილიანტების საწახნავებლათ, როცა რომ აუარება მოძმეები დაფლეთილნი და გატიალებულნი დადიან. რომლისამე ქვეყნის მკვიდროთ, ვთქოთ, ამდენი და ამდენი საათი აქვსთ გადადებული მუშაობისათვის: ახლა, თუ იმათ ამ საათების ნახევარი რაღაც მიქარვებს მოანდომეს, მაშინ მიუცილებლათ ის მკვიდრნი საზოგადოთ აუტანელ გაჭირვებაში არიან.

ერთმა ჩინეთის იმპერატორმა თქვა თურმე: «თუ ერთი ჩემთ მოყმეთაგანი არ მუშაობს სადმე ჩემ საბრძანებელში, მაშინ უთუოდ ვინმე შიმშილით ან სიცივით იტანჯებაო“. ამოთხრა ოქროსი მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ისევ მიწით ამოავსო; მოქარგვა—მოოჭვა პერანგის გულისპირისა ძვირფას თვლებით,—არც ერთი ეს ნამდვილი შრომა არ არი, იმიტომ რომ მაწარმოებელი არაა, უნაყოფოა.

ამტკიცებენ ფუფუნების მომხრე ფილოსოფოსები, ვითომ ფუფუნებას ყოველთვის არ მოსდევს ბოროტათ ხმარება. შემცდარობა სწორეთ ამაშია. ფუფუნება და ბოროტათხმარება ცნება-ზიარი სიტყვები (სინონიმები) არიან ერთმანერთისა. თვით სიტყვაში «ფუფუნება» გამოსჭვირს, განკიცხვის, ფუქსავატობის ნაქვთი. იგი ადამიანს რყვნის, ანებივრებს, აქარწყლებს მასში მამაცობას, მხნეობას და აღვიძებს მხოლოდ ამპარტავნების და ამაოების მოყვარულობას. ფუფუნებავე ჰკლავს თავდაბლობის ძალს, სიწყნარეს, ურომლოთ ვერა საზოგადოება ვერ ისულდგმულებს; იგივე აუძლურებს წაქეზებას კეთილისადმი და შებრძოლებას ბოროტებასთან. ფუფუნების მიმდევარი ცხოვრობს მხოლოდ პირადის სიამოვნებისათვის; საზოგადო საქმე მას ფეხებზე ჰკიდია და ივიწყებს, რომ ადამიანი პირველ ყოვლისა საზოგადოებითი არსებაა. ისტორიკები და ზნეთ-მოძღვარნი ერთხმათ ამტკიცებენ, რომ თაყვანება განცხრომისა და გაწმინდიკებულ ცხოვრებისადმი ამხობს საზოგადოებას მით, რომ აქვედავებს, ადაბლებს ხასიათებს. ჩვენს დროჟამში უფრო, ვიდრე წინა დროებში, უქმი და ბედოვლათური საკუთრება ღალადებს სხვების შეურაცხმყოფელ უღონოებად. დღეს გაუგებარია უფლება უვალდებულოთ. ამიტომაც ფუფუნება ზნეობრივათ სახელს უტეხს საკუთრებას, რომელიც იხარჯება მიქარვებსა და ცუდ საქმეებზე.

ყოველივე ეს ითქმის უფრო ქალაქურის ცხოვრების შესახებ. სოფლათ ასეთი უღონო მოვლინება იშვიათია. ქალაქებია ბუდე ფუფუნების და გარყვნილობისა! აქ არის, რომ ხელოვნურათ, ძალდაძალ აღიძრავენ ხოლმე მოთხოვნილებათა ათას რამ გამაბლეზებელ საშუალობით. აქ არის შემოგროვილი ყველა სიამოვნენი, რომელნიც ნაცვლათ იმისა, რომ სურვილს მოუცდინონ, თავათ გამოიწვევენ, აჩენენ მას. ქალაქებში იბადება წამხედურობითი გაჯიბრება, თვალღებითი ქიშპობა ცუდმედიდობაში, გამომეჩვენებლობაში და სხვა ბიწიერებაში. უსარგებლო ხელოვნებანი მრავლდებიან შესამცირებლათ და დასაცარავათ სასარგებლო ხელოვნებათა. ეს საფუფუნო ხელოვნებანი, ეს ნამეტნაობა, რაიცა ემსახურება მხოლოდ ზოგიერთებს, ჩაგრავს და სულს უხუთავს ყველასთვის საჭიროთა, სულის ალმაფრენ ხელოვნებათა. ყოველს ფეხის გადადგმაზე გულისხმიერ კაცს ჰზარავს გულთ ასამღვრევი დაპირისპირება გადაჭარბებულს განცხრომილებასა და უმწვერვალესს სიღარიბეს შორის, ძონძებისა და სიშიშვლის სურათი ათანიავებული სიმდიდრის დიდრაჯობასთან.

## ქ ვ ე ლ ი.

მან დაიქადოს სულით ქველობა,
ვინც რომ სიმართლის მუდამ მცველია,
ვინც ესარჩლება ღარიბს და საწყალს
და მათ მჩაგვრელთა გულით მტერია.

—

ვისიც გულს მედგრად, აშფოთ-აღელვებს
ქვრივ, ობოლ, მწირთა მწარე ცრემლია,
და მათ ნუგეშის მისაწოდებლად
სიტყვით თუ საქმით მუდამ მცდელია.

—

ვინც სცდილობს ანგარს, ძალმომრეობას
აღმოუკვეთოს სრულად ძირ ია,
ის არის ხალხის მაშველი კაცი
და ჭეშმარიტად დიდი გმირია.

—

ვინ აღიარებს ისეთს კაცს ქველად,
ვინც თავის მოძმის სისხლის მღვრელია?
ვინც თავის დედა სამშობლო ქვეყნის
ხარისხს თუ ვერცხლში გამყიდველია...

ქაიხოსრო გელოვანი.

---

## ქრისტეს ხატის წინ.

წუთის ცხოვრებით აღშფოთებული,
კაცთა ცთომათა მე შემხედვარე,
ვივლტვი სოფლიდან ზარ-დაცემული,
მუხლებზე შენ წინ ვარ აქ მდგომარე!

—

შეგთხოვ, უფალო, გვექმენ მოწყალე,—
მოგვეც ჩვენ, კაცთა ძალი ნებისა;
ნიჭი ავკარგის ცნობის მოგვმადლე
და სიყვარული ერთმანეთისა!

—

აღგვიხვენ თვალნი, გვიჩვენე ნათლად
ცოდვანი მძიმე, ცდომილებანი...
ბოროტის გზიდან გვეყავ მფარველად,
ჭეშმარიტების გვასწავე გზანი!

—

კეთილი გული, ლბობიერება
მოგვეცი კაცთა, სათნო გვეყავი:
მით აღვასრულოთ ის დიდი მცნება—
რომ სხვაც გვიყვარდეს, ვით თავის-თავი!!

—

გონება, გული დაბნელებულნი,
ღმერთო იესო, შენ განგვინათლე:—
ანდერძად შენგან დატოვებული
გვასრულებინე მარად სიმართლე!..

დ. გ.

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

13 იანვარს სიონის საკრებულო ტაძარში ლამისთევითი ლოცვა შეასრულა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა მთავარ-ეპისკოპოსმა ვლადიმირმა. 14 იანვარს, ნინობას, მათმა მეუფეებამ სწირა თბილისის წმ. ნინას ღედათა სასწავლებლის ეკკლესიაში, სადაც ამ დღეს იყო წლიური აქტი, რომელზედაც მრავალი წარჩინებული პირი დაესწრო. სიონის ტაძარში ამავე დღეს სწირა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა, ალავერდის ეპისკოპოსმა საკრებულო ტაძრის სამღვდელოების

თანამწირველობით. წირვაზე იღუმენმა მამა ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელიც ამავე №-ში იბეჭდება.

* * *

26 იანვარს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში წლიური აქტი იყო წმ. მეფის დავით აღმაშენებლის სახელობაზედ დაარსებული ძმობისა ღარიბ მოსწავლეთათვის. მესამე გაკვეთილის გათავების შემდეგ მასწავლებელნი და მოსწავლენი ხსენებული სასწავლებლისა შეიკრიბნენ სასწავლებლის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ყველანი შეიკრიბნენ სასწავლებლის ერთ დიდ ოთახში. აქტზე დაესწრო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და რამოდენიმე მღვდელ მოსამსახურენი. სასწავლებლის ზედამხედველმა წაიკითხა ანგარიში ძმობისა. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა იგალობეს რამდენიმე საგალობელნი. შემდეგ ორმა მოწაფემ წაიკითხა ლექსები რუსულს და ქართულს ენაზე. აქტის გათავესისას იგალობეს «ღმერთო, დაიფარე მეფე».

* * *

მღვდლის ვლადიმერ აბრამიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის სასარგებლოდ შემოსწირეს შემდეგი შემოწირულებანი:

ზაქარია კოსტიევმა 4 მან. და 66 კაპ., ლუკა ი. კობერიძემ 5 მ., გ. ცერცვაძემ 3 მ., იოაკიმე მოდებაძემ 1 მ., გ. წერეთელმა 1 მ., ლევან სამყურაშვილმა 5 მ., კონსტ. მასხარაშვილმა 5 მ., თომა გაგნიძემ 1 მ., სპირიდონ გველესიანმა 5 მ., დარისპან გაჩეჩილაძემ 10 მ., ს. სამყურაშვილმა 5 მ., ფილიპე სამყურაშვილმა 2 მ., ზაქარია ტინტილოზოვმა 4 მ., ბასილა სამყურაშვილმა 11 მ., მაქსიმე გაფრინდაშვილმა 1 მ., თ. კონსტანტინე აბაშიძემ 5 მ., თ. შამშე წერეთელმა 3 მ., აზ. ფარნაოზ ქავთარაძემ 3 მ., აზ. მელიტონ ჩარკვიანმა 1 მ., ევგენი იაკობაშვილმა 50 კ.

* * *

უწმიდეს სინოდს განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან შეთანხმებით დაუდგენია, რომ მომეტებული ყურადღება ექნეს მიქცეული წერა-კითხვის სასწავლო სკოლების გამრავლებას მთელს რუსეთის სახელმწიფოში. უკვე დადგენილია, რომ თითოეულს მაზრაში დაარსდეს ორი ანუ მეტი ორ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც უნდა მომზადდნენ წერა-კითხვის სკოლებისათვის მასწავლებელნი. ამ ორ-კლასიან საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში მოსწავლეთ უნდა შეასწავლონ აგრეთვე სოფლის მეურნეობა. იმ სოფლებში, რომლებიც დაშორებულნი არიან ეკკლესიებიდგან, უნდა გაკეთდეს სახლები წერა-კითხვის სკოლებისათვის თანახმად იმ გეგმისა და ხარჯთაღრიცხვისა, რომელიც უნდა შედგენილ იქმნეს ადგილობით ეპარქიალურ რჩევისა და ერობის სამმართველოებისაგან. ამ სკოლების შესანახავად უნდა გადადებულ იქმნეს ყოველ წლობით ერობის საშუალებათაგან 25—100 მანეთამდე ადგილობით საშუალებათა და მოთხოვნილებათა მიხედვით. აღნიშნულს სკოლებს ყოველივე სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები უნდა დაურიგდეს უწ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო რჩევისაგან, რომელიც უკვე შესდგომია გამოსცეს ხსენებული სკოლებისათვის საჭირო წიგნები, რაც შეიძლება იაფ ფასიანი. ეს დადგენილობა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს უკვე გაუგზავნია ყველა გუბერნატორებისათვის, რათა მათ ეს დადგენილობა გადასცენ განსახილველად ერობის საგუბერნიო და სამაზრო კრებათა და სამოქალაქო მმართველობათ.

* * *

«კვალი»-ში ვკითხულობთ: «ბ. თოფურიას განუზრახავს თავის საავადმყოფოში სამკითხველოს გამართვა. იმედია ყველა თანაგრძნობით მიიღებს ასეთ განზრახვას და ხელს გაუმართავს წიგნების შეწირვით».

იმერეთის ეპარქიის თერჯოლის სამრევლოს დიაკვანს შტატს გარეშე მყოფს მღვდელს მიხეილ ჰუმბურიძეს ქუთაისის ხაზინიდგან დაენიშნა 130 მან. 1892 წლის 9 ოქტომბრიდგან.

იმერეთის ეპარქიის ბოსლევის სამრევლოს ეკკლ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ლევან გაპანაძეს ქუთ. ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1891 წ. 25 ნოემბრიდგან.

იმერეთის ეპარქიის ჯიგოთუბანის სამრევლოს ეკკლ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს მათე გალაძეს ქუთაისის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წ. 27 მარტიდგან.

იმერეთის ეპარქიის მიროწმინდის სამრევლო ეკლ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს გრიგოლ დევდარიანს ქუთაისის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წლის 23 მარტიდგან.

იმერეთის ეპარქიის ლვაისის სამრევლო ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს სიმონ კერესელიძეს ქუთაისის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წლის 19 აპრილიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ყულის-კარის წმიდის გიორგის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ეგნატე როგავას სენაკის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1887 წ. 24 იანვრიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ფაგის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის სამრევლო ეკკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დავით ჩარკსელიანს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მან. 1890 წლის 30 აპრილიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ბულუხვეთის წმიდის გიორგის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს თადეოზ გოგინეიშვილს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მანეთი 1890 წლის 16 აგვისტოდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ჯურუყვეთის წმიდის ნიკოლოზის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს მაქსიმე კვაჭაძეს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წ. 1 მარტიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის გემანეთის მთავარანგელოზის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს მაქსიმე აფხაძავას ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წ. 6 მარტიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის გოგიეთის წმ. დიმიტრის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დავით ცეცხლაძეს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წ. 10 აპრილიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის აკეთის მაცხოვრის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ნიკოლოზ ჩხაიძეს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 130 მან. 1892 წ. 6 მაისიდგან.

კავკავის ეპარქიის ხიდიკუსის სამრევლო ეკკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დავით ადლაძეს კავკავის ოლქის ხაზინიდგან დაენიშნა 130 მ. 1892 წ. 4 აპრილიდგან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის არტანის წმ. აღდგომის ეკლ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დიმიტრი აღნიაშვილს თელავის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 1[illegible] 1892 წ. 12 მარტიდგან.

კავკავის ეპარქიის სტანიცა სუპსინსკის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მთავარს კონსტანტინე სოკოლოვს კავკავის ოლქის ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1892 წლის 16 ივნისიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ზუგდიდ-კახათის წმ. გიორგის ეკ. მღვდელს გიორგი ჯგუშიას ქვრივს ტატიკოს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1891 წ. 28 სექტემბრიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ლეკელის წმ. ანდრიას ეკ. მღვდლის რომანოზ მოისწრაფეიშვილის ქვრივს ირინეს ფოთის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1892 წ. 9 მარტიდგან.

იმერეთის ეპარქიის ცახისის სამრევლო ეკკლესიის მღვდლის იოანნე თვალჭრელიძის ქვრივს მართას ქუთაისის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1892 წ. 26 აგვისტოდგან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის აწყურის წმ. გიორგის ეკ. მღვდლის იოსებ ბიბილაურის ქვრივს მარიამს თელავის სამაზრო ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1892 წ. 28 აპრილიდგან.

გურია-სამეგრელოს ახალ დაბის წმ. გიორგის ეკ. პენსია დამსახურებულ მღვდლის დავით ხვინგიას ქვრივს მარიამს სენაკის მაზრის ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1889 წ. 2 დეკემბრიდგან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის ტფილისის მთაწმინდის მამა დავითის ეკ. მღვდლის ზაქარია გრიგორიევის ქვრივს ეფემიას ტფილისის საგუბერნიო ხაზინიდგან დაენიშნა 65 მ. 1891 წლის 14 ნოემბრიდგან.

# სწავლა კეთილ-შობილობასა და სარწმუნოებაზედ.

СИТЫВА — 

სიტყვა,

თქმული ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში იღუმენის ლეონიდის მიერ.

„ნინას ხსენება სიხარულისა ღირს არს".

„ცხოველის სიხარულით და სალმრთო სიამოვნებით უცემს დღეს გული ყოველ შეგნებულ ქართველს; დღეს ყოველი ღონიერი ქართველი ქედმაღლობს თავის სალხოსნობით და საბუთად სადღესასწაულო სიხარულისა, წმ. სიამოვნებისა და ლხინისა აქვს ხსენება ღირსისა დედისა ნინო ქართველთ-განმანათლებელისა, ხსენება იმისა, რომელმა „დაადგა ქართველ ერს გვირგვინი ქრისტეს მიერი ზოგადი", რომლის ლოცვითა და ვედრებით «არმაზ დაეცა გოდებით და ზადენისნი გამ-გაცითურთ მეხდატეხილ იქმნეს».

«დაწყებდა ქრისტიანობა საქართველოში, ნათელ-იღო ქართველმა ერმა და მოჰფინა ნათელი ქრისტესი სიბნელეში მყოფს ერს წმ. ნინომ, რომლის ხსენებასაც ვყოფთ დღეს დღესასწაულებრივის სიხარულით; მიანიჭა საქართველოს ღვთაებრივი ძალა, რომელმაც განავითარა, განამდიდრა და აყვავა ქართული ენა; გააწმინდავა, აღამაღლა, გაამაქიზა და გააკეთილა ქართველების სულიერი ცხოვრება, ზნეობა, ყოფაქცევა და საზოგადო შეხედულობა ქვეყნიერობაზედ; დაგრდომილი და ნაწილ-ნაწილად დაყოფილი ერი აღადგინა, შეაერთა და განადა სახელოვან, მძლავრ სამეფოდ; შემუსრა მის გარშემო ათასჯერ მაზედ მძლავრნი და მაგარნი მტერნი და სხვ. ამის გამო ყველა შეგნებულ ქართველისათვის, ჭეშმარიტად «ნინოს ხსენება სიხარულისა ღირს არს».

«ნინომ მოგვანიჭა მართლ-მადიდებლობა, რომელსაც დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ერის ბედ-იღბალზე მთელ მის ისტორიულ სიცოცხლის განმავლობაში. საქართველოს ერის სამოქალაქო ისტორია განუყოფელი, შეთვისებული და შეერთებულია იმისავე ეკკლესიისა, სარწმუნოებისა და სათნოების ისტორიასთან. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას უმოქმედებია, უმხნევებია და გაუმაგრებია ქართველები, როგორც განსაცდელსა და გაჭირვების ჟამს, ისე შვებისა და შეღავათის დროს. ყოველი ნაბიჯი ჩვენის ხალხისა მკვლად აღიბეჭდებოდა ღრმა, გულითადის და შეურყეველის სამშობლო ეკკლესიის და სარწმუნოების სიყვარულით. უკვლიფერზე პირველი და ყველაზე მაღალი ქართველ ხალხისათვის იყო სარწმუნოება. სარწმუნოების და ეკკლესიის დაცვა-დაფარვა იყო პირველი საგანი გარეშე მტრებთან განუწყვეტელის ბრძოლისა. ყოველ შემთხვევაში ქართველი ერი მუდამ მზადა ყოფილა განეწირა თავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესათვის, ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა და მთლად ქრისტიანობის გულისათვის. წმ. სარწმუნოებისთვის თავი დასდეს და ეწამნენ ყოველ წოდების წარმომადგენელნი:—მეფენი და თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, მოვაჭრენი და გლეხნი სარწმუნოების სიყვარულით და სასოებით გაბედულად გადულახავთ ქართველებს განუვალი უფსკრულები, გასულან ღიდრონ და საშიშ მდინარეებს, ასულან მაღალ და მიუვალ მთის წვერს, აუღიათ და აუოხრებიათ უძლეველნი სიმაგრენი, მრავალჯერ მოუთმენიათ შიმშილი, წყურვილი, სიცივე და გადაურჩენიათ თავიანთი სამშობლო ეკკლესია და საყვარელი მამული დაღუპვას. ერთის სიტყვით, სარწმუნოება იყო სული ქართველ ერის სიცოცხლისა. უსარწმუნოოდ ქართველს თავისი თავი ქართველად არ მიაჩნდა. ამ სარწმუნოებამ, რომელიც ქვა-კუთხედი იყო ხალხის ცხოვრებისა, აღზარდა და დაჰბადა ხალხში ერთსულოვნობა, თანხმობა და სიყვარული, ხოლო ყველაფერმა ამან დაგვარჩინა და უძლური ერი გადააქცია დიდ და მძლავრ სამეფოდ. ჭეშმარიტად ძველ ქართველს საბუთი ჰქონდა ეთქვა და ამბობდა კიდეც: «ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა, სარწმუნოება ჩვენი» (იოან. 1, 5—5). აღმოსავლეთიდამ მოგვიტანა სარწმუნოება წმ. ნინომ; აღმო-

სავლეთიდამკე გადმოგვიღეს წმ. მამებმა სამშობლო, გასაგებ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნები. ამის გამო, რასაკვირველია, განვითარდა, გამოირკვა, განმტკიცდა, წარმატებაში შევიდა და ხელოვნურად შემუშავდა ქართული ენა, ხოლო ენასთან ერთად განმტკიცდა და განირჩა ეროვნული თვით-ცნობა, ამაღლდა სული ქართველობისა და ეს, მხოლოდ ეს გარემოებაა უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ჩვენმა მამა-პაპამ მოიშორა თავიდამ ათასგვარი მტერი, აიტანა აუტანელი გაჭირვება, შეგვინახა და დაგვიტოვა მშვენიერი ტაძრები, შეგვინახა და გადმოგვცა ტკბილი სამშობლო ენა, შეგვინახა და გადმოგვცა სამშობლო მიწა-წყალი.

რასაკვირველია, ჩვენთვის საყვარელი და სათაყვანო ის, რომელმაც მოგვანიჭა ამგვარი ბედნიერება, სათაყვანოა ის ღვთაებრივი ძალა,—სარწმუნოება,—რომელმაც დაჰბადა, აღორძინა და გაამძლავრა ქართველი ერი; საყვარელნი არიან ის წიგნნი და ენა, რომლებშიაც და რომლითაც განმარტებულია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრება, საყვარელნი და მარად სახსოვარნი არიან ისინი, რომლებმაც განაგრძეს შრომა წმ. ნინოსი და არ დაზოგეს თავიანთი თავი სამსხვერპლოდ სარწმუნოებისა, მამულისა და ეროვნებისა. მერე გვიყვარს განმანათლებელი ჩვენი, ღირსი დედა ნინოჲ ვამტკიცებთ ამ სიყვარულს იმის შრომა-ცხოვრების დაწვრილებით ცოდნით? გვაქვს ყველას ოჯახში იმისი წმინდა ხატი ჩვენდა და ჩვენ შვილთა საგულისხმიეროდ, ან ვსწავლობთ იმ წიგნებს, რომლებშიაც უმეტ-ნაკლებოდ არის აღწერილი წმიდა ნინოს მიერ მოტანილი ქადაგება, მოიპოვებიან იგინი ჩვენ ოჯახებში, ვიხსენებთ ღირსეულათ ჩვენ მამა-პაპის ღვაწლს სამშობლო ეკლესიისათვის, ვულვიძებთ და ვუნერგავთ ჩვენ შვილებს გულში მამა-პაპურ მხურვალე და მტკიცე სიყვარულს ეკლესიისა, ენისა და მამულისა? გადაწყვეტილი და გულ-ახდილი პასუხი ამისი მოგვინდვია თვით მსმენელთათვის. ხოლო თუკეთუ სულყველაფერი ესები დავიწყებული გვაქვს, ანუ თუკეთუ გულ-გრილად ვიმყოფებით ყოველ ზემოხსენებულის შესახებ, ვუწყოდეთ, რომ ჩვენ დავსდგომივართ ჯადოშენების, უბედურობის და უკუღმართობის კვალს; ვუწყოდეთ, რომ უარ-გვიყვია ჩვენის განმანათლებლის შრომა და ცრემლი, ჩვენი მამა-პაპის დანთხეული წმ. სისხლი, მათი წმ. და გაუტეხელი ანდერძი, რის გამოც, რა კითხვა უნდა, ჩავცვივით პასუხის გებაში წინაშე ღვთისა, სამშობლო ეკლესიის დამაფუძნებლისა და ყოველთა ქართველთა წმიდათა, რაისაგანაც სამუდამოდ გვიხსნას ჩვენც და მთელი ჩვენი ჩამომავლობაც უფალმა იესო ქრისტემ, ვედრებითა და მეოხებითა წმ. დედისა ჩვენისა ნინოსითა. ვისურვებთ წრფელის გულით, რომ ყოველ ქართველს დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს შეეგნოს და პირნათლად აღესრულებინოს თავისი ზნეობრივი მოვალეობა წინაშე სამშობლო ეკლესიისა, რათა ყველა ქართველს სასიხარულოდ და სანუგეშოდ მიაჩნდეს ხსენება მოციქულთა სწორისა ნინოსი. ამინ!" «ივერია».

## საეჭვო კითხვების განმარტება.

რა რიგზედ უნდა იდგნენ ღვთის-მსახურების დროს მღვდლები, როცა რამდენიმე მათგანი ერთად ასრულებენ ღვთის-მსახურებას?

ღვთის-მსახურების დროს მღვდელმა უსათუოდ პირველი ადგილი უნდა დაუთმოს დეკანოზს, შემდეგ უნდა დადგეს კამილავკის მქონე მღვდელი, მის შემდეგ სკუფიის მქონე, ხოლო ბედენიკის არა მქონემ ადგილი უნდა დაუთმოს ბედენიკით დაჯილდოებულ მღვდელს. ამ იერარქიულ პირობათა გარდა არის კიდევ მსახურებითი პირობანი, რომელთა ძალით ბლაღოჩინი მღვდელი პირველ ადგილს უთმობს მხოლოდ დეკანოზს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში პირველი ადგილი მას უჭერია, თუ გინდ სხვა უფრო დამსახურებული მღვდლები იყვნენ, ვინაიდგან მღვდლები ვალდებულნი არიან პატივით ეპყრობოდნენ ბლაღოჩინებს (დარიგ. ბლაღ. 61).

აგრეთვე პირველ ადგილ იჭერენ მოძღვართ-მოძღვარნი, როგორც სულიერნი მამანი, ამორჩეულნი თვითონ მღვდლებისაგან. ამაებს გარდა ჩვენს ეკკლესიაში ძველი დროიდგანვე შემოღებულია შემდეგი წესი: სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებული მღვდელი პირველ ადგილს იჭერს ღვთის-მსახურების დროს სემინარიაში სწავლა დამთავრებულ მღვდელზე; აგრეთვე პირველ ადგილს იჭერს აკადემიაში კურს დამთავრებული დეკანოზი, სემინარიაში კურს დამთავრებულ დეკანოზზე, კიდეც რომ ეს დეკანოზები და მღვდლები დაჯილდოებულნი იქმნენ ბედენიკით, სკუფიით, კამილავკით, მკერდის ჯვრით და სხ. ხოლო პირველნი არა. ადგილობითი ეკკლესიის წინამძღვარს, სემინარიაში კურს დამთავრებულს, რომელიც დიდი ხნის ნამსახურებია მღვდელობაში და დაჯილდოებულიცაა მკერდის ჯვრით, ეკუთვნის უპირატესობა აკადემიაში კურს დამთავრებულ ახალგაზრდა მღვდელთან, რომელსაც აქვს კანდიდატობის ჯვარი («საეკ. უწყება» 1888, 6). როცა ადგილობითი ეკკლესიის წინამძღვარი, სემინარიაში სწავლა დამთავრებული და მასზედ უფრო ახალგაზდა მღვდლები, სემინარიაში კურს დამთავრებულნი, ასრულებენ ღვთის მსახურებას, მათში უპირატესობა ეკუთვნის ადგილობით ეკკლესიის წინამძღვარს. ამ შემთხვევაში უპირატესობა დამოკიდებულია, არა სკოლის განათლებაზე, არამედ მღვდელ-მოსამსახურეთა მსახურებით მდგომარეობაზედ («საეკლ. მახარ.» 1880 წ. 21). თუ ერთად თანამოსამსახურენი ყველანი ერთგვარი სამსახურის და განათლების მქონენი არიან, მაშინ უპირატესობა ეკუთვნის მათში მას, რომელიც ადრე ნაკურთხია, ანუ რომელსაც ადრე მიუღია დეკანოზობა, კამილავკა და სხ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სულიერნი მწყემსნი უნდა ერიდებოდნენ ღვთის საკურთხევლის წინაშე ადგილების შესახებ ცილობას, რომ მაცხოვრის მცნებისამებრ პირველი არ იქნეს უკანასკნელ, ხოლო უკანასკნელი პირველ; მით უმეტეს რომ ეს უპირატესობა არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს მწყემსს და არც მისი უმექონლობა ამდაბლებს მას (სახელმ. სოფლის მღვდელთათვის» 1885, 36).

---

## განცხადებანი.

### სახელმძღვანელონი და სხვა წიგნები,
### დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული, სურათებით და საქართველოს ქარტით. დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

**კოკორი**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლოსა ში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

**კუნწულა**, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

**ხატის მიზეზი?** საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

**ასპინძის ომი**, საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

**ძირითადი უკუღმართობა**, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსზე“

და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელოთ და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელოთ და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელოთ და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი ჟურნალისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. |
| — ,, ორივე გამოცემა 6 » | — ,, ორივე გამოცემა 4 » |
| — ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ. |

სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журналовъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

# „ჯეჯილზე“

წლიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

---

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

# „კვალი“

(დამატება «ჯეჯილისა»)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ «ჯეჯილის» რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ღირება გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან.

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.



შინაარსი: ფუტკრების ღედო და თ. ილია გ. ჭავჭავაძე, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი.—ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთები ალმაჩინეს.—კეთილი მწყემსის გავლენა მთელს მის სამწყსოზედ.—ქუთაისის საკვირაო სკოლა.—ფუფუნება.—ქველი.—ქრისტეს ხატის წინ (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა თქმული ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში იღუმენის ლეონიდის მიერ.—საეჭვო კითხვის განმარტება.—განცხადებანი.



რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 30 Января 1893 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.